

## მცირე შენიშვნა

(1888 წელი)

(პასუხად ბ-ნ. პ. მირიანაშვილისა)

“ივერიის” № 166 [1888წ.] იყო დაბეჭდილი წერილი სათაურით „საერო ენა და სათემო კილო“. ამ წერილის გამო ზოგიერთი საფუძვლიანი შენიშვნა იყო გამოთქმული ამავე გაზეთში, მაგრამ, ჩვენის აზრით, საჭიროა მცირე რამეც შევნიშნოთ კიდევ. ავტორი ისე თამამად სჯის ნიშანში ამოღებულს საგანზე, თითქოს საფუძვლიანად, მეცნიერულად ჰქონდეს შესწავლილი ქართული „საერო ენა და სათემო კილო.“ ბ-ნს მირიანაშვილს ეპატიებოდა სხვების გაფრთხილება ქართულის ენის გარყვნა - „გახორკლიანების“ გამო, რომ თვითონ მცოდნე იყოს ენისა და იმ ფილოლოგ-ლინგვისტთა დასს არ ეკუთვნოდეს, რომელნიც რამდენისამე სიტყვის მსგავსებაზე აფუძნებდნენ სხვადასხვა ერის ერთს ტომობასა და ერთს გვარობას. ნაკლულევანებაზედ მითითება ხომ საჭიროა და საჭირო, მაგრამ ნაკლულევანებად იმისი მიჩნევა, რაც გამოსადეგია, ცოდვა უნდა იყოს. ვინ არის ისეთი გაუგებარი, რომ საერო ლიტერატურულის ენის საჭიროება არ ესმოდეს, მწერლობდეს კი და ენის გაუკეთესებასა და „გაწმენდაზედ“ არა ჰფიქრობდეს?! ახლანდელი ლიტერატურული ენა ახალია და სიახლის გამო ბევრს ფორმებს, ბევრს სიტყვებს მოკლებული არის. ყველა ეს ფორმები და სიტყვები ხალხშია დამარხული, ხალხი, ერი დედაა ენისა. იგი ჰბადებს და ჰზრდის ენას, როგორც დედა შვილს. ყოველი ეთნოგრაფი და საერო მწერალი მოვალეა ყველა საყურადღებო ხალხური სიტყვა, ან ფორმა გააცნოს ლიტერატურულს ენას, თუ იგი სიტყვა და ფორმა შეეფერება ენის ხასიათს, იმის ბუნებას. თუ ენა იშვილებს იმ ფორმას, იმ სიტყვას, ხომ კარგი, თუ არა და, არც არაფერი ამითი წახდება. „ცეცხლი ვსთქვი და პირი არ დამწვავ“, ტყუილად არ ამბობს ქართული ანდაზა. ფშაველებს ამ შემთხვევაში საპატიო ადგილი ეძლევათ. საყურადღებოა იმათის საუბრის კილო და ფორმები, სხვათა შორის იმიტომაც, რომ იმათ უფრო მეტი საშუალება ჰქონიათ ქართული ენა დაეცვათ წმინდად, შეუბღალავად: ფშაველებზე (ფხოველებზე) ნაკლებად ჰქონდათ ზედმოქმედება ოსმალთა, სპარსთა, არაბთა, და სხვ. ამიტომ ამათი სათემო კილო (თუკი შეიძლება სათემო კილო დავარქვათ იმათს სასაუბრო ენას) და გრამატიკული ფორმები ხელჩასაჭიდეზია, ღირსსაცოდნელი. ფშაურის საუბრის კილო და გრამატიკული ფორმები, როგორც ნამდვილი ძველი ქართული, სრულიად ჰგვანან ძველის მწერლების ნაწერებისას, რის გამო იმათ „უკან ჩამორჩენა“ არ ეკუთვნებათ. ბ-ნმა მირიანაშვილმა უნდა იცოდეს, ვგონებ, რომ ენას ფესვები წარსულს დროში აქვს გადგმული, - რაც ხასიათი და ბუნება ისტორიულად მიჰნიჭებია ენას, იგი უნდა შერჩეს სიკვდილამდე. მართალია, ენა თანდათან წარმატებაში შედის, წინ მიდის, მაგრამ ისე კი არაა, რომ ბუნებასა და ხასიათს იცვლიდეს. თუ ეს მოხდა, მაშინ ენაცა კვდება. წინ წასვლა ენისა და წარმატება მხოლოდ იმისი მომასწავებელია, რომ ენა მდიდრდება ახალის სიტყვებით, რომელიც საჭიროა ახალთა ცნებათა გამოსახატავად. როგორც ბალლი, რამდენიც იზრდება და მეტს სიტყვებს, ცნებებს, სწალობს, უადვილდება ფრაზის შედგენა, აზრის გადაცემ-გადმოცემა, აგრეთვე ენაც, რამდენიც უფრო წინ წასულია და წარმატებული, იმდენად უფრო მომზადებულია ყველა

ცნების გამოსახატავად. მაშინ ენას ყველა ცნების გამოსახატავად საკუთარი სიტყვა მოეპოვება, ყოველს აზრს, რაც უნდა მიძიმე და განყენებული იყოს, ადვილად გამოსთქვამს.

დიალ, მართლად მიკვირებს ბ-ნი მირიანაშვილი „უკან ჩამორჩენილ“ „გრამატიკებრივის“ ფორმებისა და „მეტხორცის“ სიტყვების ხმარებას. მართალია, ეს ფორმები უკან ჩამორჩენილებია, არა სტყუით, მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ იმათ ცხენი არ უყვარდესთ და ჯაგლაგებზე ისხდნენ, მიზეზი სხვაა: მიზეზი ის არის, რომ მოედანი და ბურთი არსადა სჩანდა იმათთვის. მაინც კარგი იქნებოდა ბ-ნ მირიანაშვილს ეჩვენებინა ის „უკან ჩამორჩენილი გრამატიკებრივი ფორმები და მეტხორცი სიტყვები“. ხმარება იმგვარის სიტყვებისა, რომელნიც არ იხმარებიან ბარად, ან ლიტერატურაში, და, ვსთქვათ მოიპოვება ფშავში, ნუთუ „გახორკლიანება“ იქნება ენისა? „ივერიაში“, მაგალითად, ერთხელ შევხვდი რუსულს სიტყვას, ქართულად ხმარებულს, ქართულის კარგად მცოდნესაგან. ეს სიტყვა გახლავს „სმაროდინა“, რომელსაც ფშაველები „მოცხარს“ ანუ „ხუნწს“ ეძახიან. ქართველმა ეს სიტყვა იხმარა რუსულად იმიტომ, რომ ბარად, თვით საგანი არ არსებობს და შეიძლება იმისი სახელიც არ არსებობს და შეიძლება იმისი სახელიც არ არსებობდეს. რამდენი სიტყვა მოიპოვება ქართული ფშავში, რომ ბარელმა ქართველმა არ იცის. ავიღოთ მაგალითად ქსლის იარაღი: გარა<sup>1</sup>, ცხემლა<sup>2</sup>, საყვანელა<sup>3</sup>, ანუ კაკაჩუნა, სახეხავი<sup>4</sup> და სხვა.

მწერალს არ შეუძლიან სავალდებულოდ გაჰხადოს რომელიმე სიტყვა ან ფორმა, მხოლოდ იმ ნებას კი ვერავენ წაართმევს, რომ მწერლობას მაინც არ გააცნოს, როგორც სამეცნიერო, საეთნოგრაფიო საგანი. სუფიქსები ბარელ ქართულს არ უყვარს, ფშავში კი იხმარება, როგორც მაგალითად „იკ“ „ელ“, ბატარ-იკ-ა, კარგ-უნ-ელ-ა და სხვ. ეს სუფიქსები გამოჰხატავენ ალერსს. იხმარება ისეთი ფორმებიც, რომელიც განსაკუთრებულს თვისებას აძლევს ქართულს ენას. სახელობითი ბრუნვა მრავლობითის რიცხვისა: მთანი იხმარება შემოკლებულად „მთან“, ქალნი „ქალნ“ და სხვ. ბ-ნს მირიანაშვილს, არ ვიცი, სად შეჰხვდა ჩემს ნაწერებში წოდებითი ბრუნვა: ქალაუ; ამ ფორმას ხმარობენ მოხვევნი და არა ფშაველნი. ფშაური ფორმა იქნება: ქალაო, როცა ალერსით იხსენიებს, და ქალო, ან ქალავ: რაც უნდა იყოს, ეს ფორმები ხალხურია და სახალხო მწერალს, როცა ხალხს ალაპარაკებს, ეპატიება ამ ფორმების ხმარება, მხოლოდ ბ-ნს მირიანაშვილს კი არ ეპატიება საკუთარის ფორმების თხზვა\_მოგონება... ნუთუ ეს მოვლენა იმას არ მოასწავებს, რომ ბ-ნ მირიანაშვილს მარტოკა თავისი თავი ჰგონია უცოდველი მოციქული ენის წარმატებისა და განკარგებისათვის. სიტყვა „ძუნწის“ მაგივრად ბ-ნმა მირიანაშვილმა დაგვავალა „პურშავი“-ს ხმარება. ცოდვა იქნება, რომ ამ სიტყვას მიემატოს ფშავეური: „ძვირი“, „ხარბი“, „გაუქშერელი“? ჩვენის აზრით, თავმოსაწონიც არის, რომ ერთის ცნების გამომხატველად სამი და ოთხი სიტყვა მოგვეპოვება და ამ შემთხვევაში არა ვგავართ ჩინელებს, რომელთაც ბევრი ისეთ სიტყვები აქვს, რომ თვითოეულს, ერთის მაგიერ ათი და თორმეტი მნიშვნელობა აქვს იმისდა მიხედვით, თუ რომელი ადგილი უჭირავს წინადადებაში...

<sup>1</sup> რგვალი ხე, სიგრძით ადლნახევარი, რომელზედაც, ქსოვის დროს, ნართს ახვევენ. ერთი გარაა მოძრავი, მეორე უძრავი.

<sup>2</sup> სამის თითის სიბრტყე ფიცარი, ადლის ტოლა, თავსა და ბოლოს ამკბილული, რომელზედაც ნართია დახვეული, ცხემლით ნართი გარდიგარდმო გაჰყავს ოსტატს და შემდეგ იბეჭდება.

<sup>3</sup> პატარა კავი, მოძრავის გარის ასაწევ-დასაწევი.

<sup>4</sup> ნახევარ-ადლიანი ფიცარი, რომლითაც მტვერი და ბუსუსი ეცლება ქსელს.